საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №160/ნ
2014 წლის 18 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 ნოემბრის №182/ნ და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 4 დეკემბრის №192/ნ ბრძანებები.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**

დანართი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. **დეპარტამენტის უფროსი:**

ა) კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ფლობდეს სახელმწიფო ენას.

ბ) დეპარტამენტის უფროსის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ბ.ა) უმაღლესი განათლება: მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ.ბ) სამუშაო გამოცდილება: არანაკლებ 7 წელი;

ბ.გ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება: არანაკლებ 3 წელი;

ბ.დ) განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილება: არანაკლებ 3 წელი;

ბ.ე) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Outlook) კარგად ცოდნა;

ბ.ვ) უცხო ენების (ინგლისური, რუსული) ცოდნა.

გ) დეპარტამენტის უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

გ.ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

გ.გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

გ.დ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი;

გ.ე) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;

გ.ვ) საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

გ.ზ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

2. **დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:**

ა) კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ფლობდეს სახელმწიფო ენას.

ბ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ბ.ა) უმაღლესი განათლება: მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ.ბ) სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 4 წელი;

ბ.გ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება: არანაკლებ 2 წელი;

ბ.დ) განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილება: არანაკლებ 2 წელი;

ბ.ე) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Outlook) კარგად ცოდნა;

ბ.ვ) უცხო ენების (ინგლისური, რუსული) ცოდნა;

გ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

გ.ა) საქართველოს კონტიტუცია;

გ.ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

გ.გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

გ.დ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი;

გ.ე) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;

გ.ვ) საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

გ.ზ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

3. **დეპარტამენტის სპეციალისტი:**

ა) კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ფლობდეს სახელმწიფო ენას.

ბ) დეპარტამენტის სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ბ.ა) უმაღლესი განათლება: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ.ბ) სამუშაო გამოცდილება – ერთი წელი;

ბ.გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook, Internet Explorer, Microsoft Office PowerPoint) კარგად ცოდნა;

ბ.დ) უცხოური ენების (ინგლისური/რუსული) ცოდნა;

ბ.ე) უპირატესობა მიენიჭება პირს, რომელსაც აქვს:

ბ.ე.ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ.ე.ბ) ზოგადი განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება.

გ) დეპარტამენტის სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

გ.ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

გ.ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

გ.გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

გ.დ) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;

გ.ე) საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

4. **დეპარტამენტის პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს უფროსი:**

ა) კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ფლობდეს სახელმწიფო ენას.

ბ) დეპარტამენტში პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ბ.ა) უმაღლესი განათლება მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (უპირატესობა მიენიჭება განათლების ადმინისტრირების სპეციალიზაციის მქონე პირს);

ბ.ბ) სამუშაო გამოცდილება არანაკლებ 2 წელი;

ბ.გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Outlook) კარგად ცოდნა;

ბ.დ) უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) კარგად ცოდნა;

ბ.ე) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება.

გ) დეპარტამენტში პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

გ.ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

გ.გ) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;

გ.დ) საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

გ.ე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

5. დეპარტამენტის პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/უფროსი სპეციალისტი:

ა) კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ფლობდეს სახელმწიფო ენას.

ბ) დეპარტამენტის პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის/უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ბ.ა) უმაღლესი განათლება: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ.ბ) სამუშაო გამოცდილება – არანაკლებ 2 წელი;

ბ.გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook, Internet Explorer, Microsoft Office PowerPoint) კარგად ცოდნა;

ბ.დ) უცხოური ენების (ინგლისური/რუსული) კარგად ცოდნა;

ბ.ე) უპირატესობა მიენიჭება პირს, რომელსაც აქვს:

ბ.ე.ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ.ე.ბ) პოლიტიკის დოკუმენტების შექმნის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.

გ) დეპარტამენტის პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის/უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

გ.ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

გ.გ) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;

გ.დ) საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

გ.ე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

6. დეპარტამენტის მონიტორინგისა და კოორდინაციის სამმართველოს უფროსი:

ა) კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ფლობდეს სახელმწიფო ენას.

ბ) დეპარტამენტის მონიტორინგისა და კოორდინაციის სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ბ.ა) უმაღლესი განათლება: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ.ბ) სამუშაო გამოცდილება: 5 წელი;

ბ.გ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 2 წელი;

ბ.დ) საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილება;

ბ.ე) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Outlook) კარგად ცოდნა;

ბ.ვ) უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) ცოდნა.

ბ.ზ) უპირატესობა მიენიჭება პირს, რომელსაც აქვს:

ბ.ზ.ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ.ზ.ბ) ზოგადი განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება.

გ) დეპარტამენტის მონიტორინგისა და კოორდინაციის სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

გ.ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

გ.გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

გ.დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

გ.ე) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;

გ.ვ) საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

გ.ზ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

7. **დეპარტამენტის მონიტორინგისა და კოორდინაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი**

ა) კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ფლობდეს სახელმწიფო ენას.

ბ) დეპარტამენტის მონიტორინგისა და კოორდინაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ბ.ა) უმაღლესი განათლება: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ.ბ) სამუშაო გამოცდილება – 2 წელი;

ბ.გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook, Internet Explorer, Microsoft Office PowerPoint) კარგად ცოდნა;

ბ.დ) სასურველია უცხოური ენების (ინგლისური/რუსული) ცოდნა;

ბ.ე) უპირატესობა მიენიჭება პირს, რომელსაც აქვს:

ბ.ე.ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ.ე.ბ) საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილება.

გ) დეპარტამენტის მონიტორინგისა და კოორდინაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

გ.ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

გ.ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

გ.გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

გ.დ) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;

გ.ე) საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

გ.ვ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

8. დეპარტამენტის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს უფროსი:

ა) კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ფლობდეს სახელმწიფო ენას.

ბ) დეპარტამენტის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ბ.ა) უმაღლესი განათლება: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სამართლის მიმართულებით;

ბ.ბ) სამუშაო გამოცდილება: არანაკლებ 4 წელი;

ბ.გ) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება;

ბ.დ) საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება;

ბ.ე) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office PowerPoint, Microsoft Office Outlook) ცოდნა;

ბ.ვ) უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) ცოდნა.

გ) დეპარტამენტის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

გ.ბ) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;

გ.გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

გ.დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

გ.ე) საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

გ.ვ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის №30/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;

გ.ზ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

9. დეპარტამენტის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი:

ა) კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ფლობდეს სახელმწიფო ენას.

ბ) დეპარტამენტის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირებისა და სასწავლო რესურსების შეფასების

სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ბ.ა) უმაღლესი განათლება: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სამართლის მიმართულებით;

ბ.ბ) საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება;

ბ.გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office PowerPoint, Microsoft Office Outlook) ცოდნა;

ბ.დ) უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) ცოდნა.

გ) დეპარტამენტის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

გ.ბ) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;

გ.გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

გ.დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

გ.ე) საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

გ.ვ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის №30/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;

გ.ზ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“.